სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება №168

ერთის მხრივ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი (შემდგომში შემსყიდველი) წარმოდგენილი თავმჯდომარის თინათინ ზოიძის სახით და მეორეს მხრივ, ააიპ ,,ქართული სამზარეულოს განვითარებისა და პოპულარიზაციის ასოციაცია“ (შემდგომში მიმწოდებელი) წარმოდგენილი დირექტორის ქეთევან კვიჭიძეს სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2020 წლის 16 იანვრის N1 განკარგულების საფუძველზე, SMP – 200000041 (CPV კოდი - 79900000) დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინთა განმარტებები

1.1. ”ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ” (შემდგომში - ”ხელშეკრულება”) -შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. ”ხელშეკრულების ღირებულება” - ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ.

1.3. ”დღე” , ”კვირა”, ”თვე” - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. ”შემსყიდველი” - ორგანიზაცია რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. ”მიმწოდებელი” - პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. ”მომსახურება” - ხელშეკრულების მე-2 მუხით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. შესყიდვის საგანია: **ტურიზმის სფეროს, კერძოდ კი კვების ობიექტების და/ან სხვა კვების მიმწოდებლების (მათ შორის საოჯახო სასტუმროების) წარმომადგენლებისათვის - „აჭარის ტრადიციული სამზარეულოს თემაზე კულინარიული ღონისძიების უზრუნველყოფა, რომელიც გულისხმობს მასტერკლასების ორაგნიზებას და ტურისტული სერვისის მიმწოდებლებისათვის სახელმძღვანელო ვიდეოების შექმნას“.**

2.2. შესყიდვის ობიექტის ტექნიკური დავალება დანართი N2 თან ერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას და წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **56245.51 (ორმოცდათექვსმეტი ათას ორას ორმოცდახუთი ლარი და 51 თეთრი)** ლარს.

3.2. მომსახურების ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯისა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში.

5. მომსახურების გაწევის ვადა

5.1. მიმწოდებელის მიერ შესყიდვის ობიექტით გათვალისწინებული მომსახურების განხორციელების ვადა განისაზღვროს 2020 წლის 25 ოქტომბრამდე.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. **შემსყიდველი უფლებამოსილია**

6.1.1 წინასწარ შეატყობინოს კომპანიას ხელშეკრულების შეწყვეტაზე და ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება;

6.1.2. მოსთხოვოს კომპანიას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების ჯეროვნად შესრულება;

6.1.3. გამოიყენოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლებები.

6.2. შემსყიდველი ვალდებულია

6.2.1. სრულად და დადგენილ ვადაში გადაიხადოს „მომსახურების“ საფასური, 4.1. პუნქტის მიხედვით;

6.2.2. გამოიყენოს „მომსახურება“ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

6.2.3. ჯეროვნად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები.

6.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია

6.3.1. მოსთხოვოს შემსყიდველ ორგანიზაციას დაიცვას წინამდებარე ხელშკრულებით გათვალისიწნებული მოთხოვნები.

6.3.2. გამოიყენოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლებები.

6.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

6.4.1. დაიცვას წინამდებარე ხელშეკრულების, დანართი N1-ისა და ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მიწოდების ვადები.

6.4.2. კეთილსინდისიერად და ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები;

6.4.3. არ გაამჟღავნოს პერსონალური ინფორმაცია გარდა იმ შემთხვევებისა, რაც გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობით.

7. მომსახურების მიღება–ჩაბარების წესი

7.1. შემსყიდველის მხრიდან მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერი პირებია:

- თინათინ ზოიძე - დეპარტამენტის თავმჯდომარე;
- თამარ კაიკაციშვილი - დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე;
- გიორგი დოლიძე - სერვისის განვითარების სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი.

7. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

8.1. ხელშეკრულების ნაკისრი ვალდებულებების ინსპექტირებას განახორციელებს შემსყიდველი.

8.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებისა და გაწეული მომსახურების ხარისხის პროცესის კონტროლს.

8.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებულ კონტროლს (ინსპექტირებას) შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს გიორგი დოლიძე - სერვისის განვითარების სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი.

8.4. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ვადის გადაცილებით შესრულების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე სახელშეკრულებო ღირებულების 0,1 %-ის ოდენობით.

9.2. თუ მიმწოდებლის მხრიდან სახეზეა ვალდებულების ან მისი ნაწილის არაჯეროვანი შესრულება ან შეუსრულებლობა, გარდა ვადის გადაცილების შემთხვევებისა, და მიმწოდებლისათვის დამატებითი ვადა გასულია ან მის განსაზღვრას აზრი არ აქვს, მიმწოდებელს დაეკისრება ჯარიმის გადახდა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 2%-ის ოდენობით.

9.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

10.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10.5. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10.6. ხელშეკრულება ასევე შესაძლებელია შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. დაუძლეველი ძალა

10.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

10.2თუ, ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

10.3მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ საქართველოს სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2021 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

13. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი

ქ. ბათუმი, ფარნავაზ მეფის ქ. N84/86
ს/კ 245427809

_____

დეპარტამენტის თავმჯდომარე
თინათინ ზოიძე

მიმწოდებელი

ააიპ ,,ქართული სამზარეულოს განვითარების და პოპულარიზაციის ასოციაცია“

ს/კ 405206593
ბანკი: სს „საქართველოს ბანკი“

ბანკის კოდი: BAGAGE22
ა/ნ GE29BG0000000210451100

_____

დირექტორი

ქეთევან კვიჭიძე

2020 წლის N 168 ხელშეკრულების დანართი N1

N	მომსახურების დასახელება	ღირებულება (ლარი)	სულ ჯამი (ლარი)
1	პროექტის საორგანიზაციო საკითხები, მათ შორის ადამიანური რესურსები	26445.51	56245.51
2	პროექტისათვის ვიდეო-ფოტო გადაღებისათვის საჭირო ღონისძიებები, მათ შორის ადამიანური რესურსები	29800	

2020 წლის N168 ხელშეკრულების დანართი N2

„აჭარის ტრადიციული სამზარეულოს თემაზე კულინარიული მასტერკლასების ორაგნიზება და ტურისტული სერვისის მიმწოდებლებისათვის სახელმძღვანელო ვიდეოების შექმნა“

1. პროექტის მიზანი :

- რეგიონის ტურისტულ ობიექტებში სერვისის დონის ამაღლება და სამომავლოდ მათ მენიუში მეტი ტრადიციული კერძის შეთავაზება სტუმრებისათვის.
- რეგიონის ტურისტულ ობიექტებში ავთენტური კერძების სერვირების შესახებ ინფორმაციის მიწოდება და მათი პრაქტიკაში დანერგვა.
- აჭარული გასტრონომიის პოპულარიზაცია და კერძების ცნობადობის გაზრდა.
- კულინარიული ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა და კულინარიული ტურების განვითარება.
- კულინარიის ეთნოგრაფიულ ჭრილში წარმოჩენა.
- თემატური ვიდეორგოლების შექმნა: ეთნოგრაფის ლექციის ვიდეო, კერძის დამზადების და სერვირების ვიდეოების შექმნა კერძო სექტორისათვის სახელმძღვანელოდ, კომბინირებული საპრომოციო ვიდეოების შექმნა.
- ტრადიციული სამზარეულოს ფოტომასალის შექმნა, მათ შორის ფოტორეცეპტების შექმნა საპრომოციო და საინფორმაციო მიზნით.

2. მიმწოდებელმა 2020 წლის 25 ოქტომბრამდე უნდა განახორციელოს აჭარის ტერიტორიაზე, (სავარაუდო ლოკაციები: ქობულეთის, ხელვაჩაურის ან/და ხულო, ქედა, შუახევის მუნიციპალიტეტები, შეირჩევა შემსყიდველთან შეთანხმებით) აჭარული სამზარეულოს სამი მიმართულების - ლაზური, ქობულეთური და მაღალმთიანი აჭარის სამზარეულოსათვის დამახასიათებელი კერძების მასტერკლასების ორგანიზება პოპულარული/ცნობილი შეფ-მზარეულების მონაწილეობით (არანაკლებ 5 მზარეული, 1 ლოკაციაზე დასაშვებია მზარეულების დუეტიც).

მასტერკლასებს დაესწრებიან ტურისტული სერვისის მიმწოდებლები. (არანაკლებ 30 ადამიანი ყოველ ლოკაციაზე, საოჯახო სასტუმროების, კვების ობიექტებისა და გიდების წარმომადგენლები).
მასტერკლასების ფარგლებში ყოველ ლოკაციაზე ასევე განხორციელდება:

მასტერკლასების დაგეგმვისა და განხორციელების ყველა დეტალი უნდა შეთანხმდეს შემსყიდველთან.

სამივე გადასაღებ ლოკაციაზე უნდა მოეწყოს შემდეგი ინფრასტრუქტურა:

- კუთხე მზარეულისათვის სადაც მოამზადებს კერძებს (აღჭურვილია მაგიდით, გაზქურით და სხვა საჭირო ინვენტარით);
- კუთხე მომზადებული კერძების სერვირებისათვის, სადაც დამსწრეები თვალს ადევნებენ სერვირების მასტერკლასს, შემდგომში სერვისის გაუმჯობესების და პრაქტიკაში დანერგვის მიზნით.
- კუთხე მასტერკლასის მაყურებლებისათვის
- კუთხე ფოლკლორისათვის

მასტერკლასებისათვის ყოველ ლოკაციაზე ღონიძიების კუთხე უნდა მოეწყოს ღია სივრცეში, უსაფრთხო დისტანციის და covid19-თან დაკავშირებული ყველა რეგულაციის გათვალისწინებით.

შემსყიდველთან შეთანხმებით უნდა შეირჩეს როგორც ლოკაციები, მონაწილეები და დამსწრეები, ასევე გადაღებების გრაფიკი, დეკორაციები და სხვა დეტალები.

მიმწოდებელმა წინასწარ შერჩულ 3 ლოკაციაზე (ლოკაციის არჩევისას გასათვალისწინებელია ადგილი იყოს ტურისტულად საინტერესო) უნდა უზრუნველყოს აჭარული კერძების კულინარიული მასტერკლასების ჩატარება შემდეგი პირობების თანახმად:

- ლაზური კერძების მასტერკლასი - სავარაუდო ლოკაცია: ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, სარფის მიმდებარე ტერიტორია;

- ქობულეთური კერძების მასტერკლასი - სავარაუდო ლოკაცია: ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის მქონე ლოკაცია, მაგალითად: პეტრას ციხის ხედი, მტირალას ერ.პარკი;
- მაღალმთიანი აჭარა - სავარაუდო ლოკაცია: მწვანე ტბა და სხვა ტურისტულად მნიშვნელოვანი ტერიტორია.

მიმწოდებელმა ხელშეკრულების გაფორმებიდან 1 კვირის ვადაში უნდა უზრუნველყოს შეხვედრა შემსყიდველსა და გადაღების საორგანიზაციო ჯგუფს შორის. მიმწოდებლის მხრიდან ღონისძიებას აუცილებლად უნდა ესწრებოდეს პროექტის ხელმძღვანელი და/ან მენეჯერი, რესტორნის სუპერვაიზერი ან მენეჯერი, რეჟისორი, მზარეულები და ეთნოგრაფი.

კულინარიული მასტერკლასების სცენარი:

ნაწილი პირველი - ეთნოლოგის მაქსიმუმ 1,5 სთ-იანი ლექცია მაღალმთიანი აჭარის სამზარეულოზე,

ნაწილი მეორე- შეფ-მზარეულიების მიერ წინასწარ შერჩეული კერძების დამზადება (პირველი, მეორე და დესერტი - ჩაროზი)

ნაწილი მესამე- თემატური ფოლკლორული ჯგუფების მონაწილეობა, რომლებიც ადგილმდებარეობისთვის დამახასიათებელ მინიმუმ 2 ფოლკლორულ ნომერს (ცეკვა და სიმღერა) შეასრულებენ.

ნაწილი მეოთხე - შერჩეული და დამზადებული კერძების სერვირების მასტერკლასი.

კულინარიული მასტერკლასების ვიდეოს სცენარი შემდეგი ძირითადი განყოფილებისგან შედგება:

1. ვიდეოს პირველი ნაწილი/დასაწყისი - ეთნოლოგიური მონათხრობი სამი სხვადასხვა ლოკაციის მიხედვით (გამზადებული თითოეული ვიდეოს ხანგრძლივობა არანაკლებ 15 წუთი).
2. მეორე ნაწილი - კულინარიული მასტერკლასი (კერძების დამზადება თითოეულ ლოკაციაზე) (გამზადებული თითოეული ვიდეოს ხანგრძლივობა არანაკლებ 15 წუთი).
3. მესამე ნაწილი მომზადებული კერძების სერვირების მასტერკლასი - კერძების სერვირების პროცესი (გამზადებული თითოეული ვიდეოს ხანგრძლივობა არანაკლებ 10 წუთი).
4. შემაჯამებელი ვიდეო (ერთი) უნდა შედგებოდეს ყველა ლოკაციაზე განხორციელებული აქტივობების ამსახველი კადრებისაგან, რომლის ქრონომეტრაჟი უნდა იყოს არანაკლებ 2 წუთი, კრეატიული გადაწყვეტილებით და ჟანრის თემატიკიდან გამომდინარე საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით.

ყველა ვიდეოს თან უნდა ერთვოდეს ინგლისურ ენაზე სუბტიტრები.

პარალელურად უნდა მიმდინარეობდეს ვიდეო და ფოტო გადაღებები შესაბამისი გადამღები ჯგუფების მიერ. საჭიროების შემთხვევაში უნდა მუშაობდეს რამდენიმე ფოტო-ვიდეო კამერა, მათ შორის დრონი.

ყოველ ლოკაციაზე აუცილებელია დამსწრეთა მთლიანი ჯგუფი შემოსილი იყოს ტრადიციული სამოსით ან ატარებდნენ რაიმე დამახასიათებელ ატრიბუტიკას მაგ. ყაბალახი, ქამარი და ა.შ.

გადაღების გარემო უნდა იყოს ავთენტური, დეკორატიული ნაწილი ხაზს უსვამდეს ადგილის თავისებურებას. დეკორაციად გამოიყენება ლოკაციის ავთენტური ნივთები, ჭურჭელი, შენობა ნაგებობები და სხვა დეკორაციები, შემსყიდველთან წინასწარ შეთანხმებული დეკორაციის პროექტის და დადასტურებული სცენარის მიხედვით. (მაგალითად: ლაზური სამზარეულოს მასტერკლასის ლოკაციად შესაძლებელია განისაზღვროს სარფის მიმდებარედ სანაპირო ზოლი ან სარფის მაღალმთიანი ნაწილი ზღვის ხედი. დეკორაციად გამოიყენება ლაზური ავთენტური ნივთები, ნავი, ჭურჭელი, სათევზაო ბადე, სხვა თევზსაჭერი ატრიბუტიკა და საოჯახო ნივთები შემსყიდველთან შეთანხმებული დეკორაციის პროექტის მიხედვით. ანალოგიურად ქობულეთური და მაღალმთიანი აჭარის სამზარეულოების შემთხვევაშიც).

პროექტის ფოტოგადაღება:

მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს პროექტის პროფესიონალური ფოტოგადაღება (მათ შორის როგორც საიმიჯო ფოტოების, ასევე ფოტო რეცეპტების სერიის გადაღება-დამუშავება) და საავტორო უფლებით შემსყიდველისათვის გადაცემა. მიმწოდებელმა შემსყიდველს უნდა მიაწოდოს:

- ღონისძიების ჯამში არანაკლებ 30 მაღალი რეზოლუციის ფოტო, მათ შორის კერძების არანაკლებ 15 დადგმული ფოტო.
- ფოტორეცეპტები ყველა ლოკაციაზე, ყველა მომზადებული კერძისათვის (ჯამში არანაკლებ 6 კერძი - ფოტოების რაოდენობა დამოკიდებულია კერძების რაოდენობაზე და არჩეული კერძების მომზადების თავისებურებასა და რეცეპტურაზე).

ფოტოგადაღება ასევე უნდა მოიცავდეს ზედხედიდან გადაღებულ ფოტოებს, დრონით გადაღებულ ფოტოებს.

მასტერკლასების ვიდეოები:

- ✓ მასტერკლასის ვიდეორგოლის სცენარი წინასწარ უნდა შეთანხმდეს შემსყიდველთან.
- ✓ სამივე ლოკაციის მიხედვით ვიდეორგოლები გადაღებული უნდა იყოს FULL HD (1920x1080pix) ფორმატში.
- ✓ მიმწოდებელამა უნდა უზრუნველყოს ვიდეომონტაჟი, ფერთა კორექცია, გახმოვანება და მუსიკალური გაფორმება.
- ✓ ფილმის გამოყენების განსაკუთრებული საავტორო ქონებრივი და სხვა უფლებები უნდა გადაეცეს შემსყიდველს უვადოდ.
- ✓ შემსყიდველს ასევე ცალკე უნდა გადმოეცეს ვიდეორგოლის შავი მასალა.
- ✓ გადაღებისას გასათვალისწინებელია, რომ ვიდეო-მასტერკლასები მოიცავდეს შერჩეული ლოკაციების ზოგად ხედებს, პანორამული კადრებს, დრონით გადაღებულ ხედებს, ტრადიციულ და ისტორიულ ელემენტებს.
- ✓ დამზადებული ვიდეო რგოლის მიწოდება უნდა განხორციელდეს ელექტრონულ მატარებელზე (დისკზე) ჩაწერილი, შემსყიდველის მიერ მოთხოვნილი პარამეტრების და ფორმატის მიხედვით.
- ✓ **ვიდეორგოლში გამოყენებული მასალა და მუსიკა უნდა იყოს ლიცენზირებული. საავტორო უფლებების დარღვევის შემთხვევაში, მესამე პირის მიერ წარდგენილ შესაძლო პრეტენზიებზე აბსოლუტურ პასუხისმგებლობას იღებს მიმწოდებელი.**
- ✓ მასტერკლასების ვიდეორგოლები უნდა იყოს კრეატიული, მაღალი ხარისხის (მუშაობდეს რამოდენიმე კამერა ერთდროულად),ემსახურებოდეს სერვისის გაუმჯობესებას, შინაარსობრივად იყოს ლაკონური და ინფორმაციული, ემსახურებოდეს რეგიონის კულინარიული ტრადიციების პოპულარიზაციას, ასახავდეს აჭარის კულინარიულ, ეთნოგრაფიულ თუ ფოლკლორულ თავისებურებებს.

შენიშვნა: შემსყიდველი უფლებას იტოვებ, თუ არ მოეწონება ფოტო და ვიდეო მასალა მოითხოვოს ხელახალი გადაღებების ორგანიზება (უკვე დამსწრე სტუმრების გარეშე).

სხვა საორგანიზაციო საკითხები:

გადაღების სცენარი, მასტერკლასებზე მოსამზადებელი კერძების სია, დეკორაციების დიზაინი, მუსიკალური შემსრულებლების სია, გადაღების ტექსტი და სხვა მნიშვნელოვანი დეტალები შემუშავებული უნდა იქნას წინასწარ, რეჟისორის და სცენარისტის მიერ და უნდა შეთანხმდეს შემსყიდველთან გადაღებებამდე მინიმუმ 2 კვირით ადრე.

მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს მოწვეული შეფ-მზარეულების, ეთნოგრაფის და ღონისძიებაში ჩართული სხვა პერსონალის განთავსება, კვება და ტრანსპორტირება გადასაღებ ლოკაციებზე, ასევე პროექტის ფარგლებში მასტერკლასის ყველა მსმენელის ტრანსპორტირება (მათ შორის დამსწრე გიდები,სერვისის მიმწოდებლები და მზარეულები სამივე ლოკაციის მიხედვით).

მიმწოდებელი უზრუნველყოფს ყველა კერძისა და დესერტისათვის საჭირო ინგრედიენტებს, ასევე მათ მოსამზადებელად საჭირო ინფრასტრუქტურას, ჭურჭელს და დეკორაციებს ტრადიციულ სტილში. მიმწოდებელი ასევე უზრუნველყოფს ყველა ლოკაციაზე გადაღებისათვის საჭირო ინვენტარსა და ტექნიკა მოწყობილობებს. (მათ მონტაჟსა და დემონტაჟს).

ლოკაციებზე მასტერკლასების ფარგლებში მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს დამსწრეთათვის ერთი შესვენება და მსუბუქი ლანჩი (მენიუ შემსყიდველთან შეთანხმებით) და ასევე მოაწყოს მასტერკლასის ფარგლებში მომზადებული კერძების დეგუსტაცია.

ყველა კონსტრუქცია და ნივთი რომელიც გადაღების პროცესში იქნება გამოყენებული უნდა ტრანსპორტირდეს და დამონტაჟდეს მიმწოდებლის მიერ, ასევე უნდა უზრუნველყოს გადასაღები ლოკაციიდან ყველა დეკორაციისა და დამხმარე ინვენტარის, მათ შორის ტექნიკური მოწყობილობების, დემონტაჟი და გატანა პროექტის დასრულების შემდგომ. ლოკაცია უნდა დასუფთავდეს და მოწესრიგდეს მიმწოდებლის მიერ.

გადაღებებისას სამუშაოების ჩატარების დროს ღონისძიების ლოკაციაზე დაზიანებული რეკვიზიტის, ტექნიკური თუ სხვა სახის ინვენტარის ან ნებისმიერი სხვა ნივთის აღდგენაზე პასუხისმგებელია მიიმწოდებელი

მიმწოდებელმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება უნდა უზრუნველყოს ხელშეკრულებაში და N1 დანართში აღნიშნული ყველა პირობის დაცვით.